

ინტერკულტურული სწავლების პრობლემატიკა გერმანული ენის
სწავლებისას საქართველოს სკოლებში საბაზო საფეხურზე (IX კლასი)

მარიამ თევზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის
საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (უცხო ენების (გერმანული)
მასწავლებელი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ეკატერინე შავერდაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ თევზაძე

მ.თევზაძე

06.07.2015

აბსტრაქტი

ინტერკულტურული სწავლება და კულტურებს შორის დიალოგი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ეპოქაში. გლობალიზაციის პროცესმა აშკარად გამოკვეთა ინტერკულტურული სწავლების აუცილებლობა. როგორც ინტერკულტურული დიალოგში საზოგადოების ჩართვის ინსპირატორი, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ჩემი ნაშრომის თემა ინტერკულტურული სწავლების პრობლემატიკა გერმანული ენის სწავლებისას საქართველოს სკოლებში საბაზო საფეხურზე ყოფილიყო. იქიდან გამომდინარე, რომ მასწავლებლისთვისაც და მოსწავლისთვისაც, როგორც სწავლა/სწავლების მთავარ მონაწილეთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა, ჩემი კვლევის მთავარი ობიექტიც სახელმძღვანელო იყო.

კვლევის მიზანი იყო, გამეანალიზებინა გერმანულის, როგორც მეორე უცხოური ენის სახელმძღვანელოებში საკუთარ და შესასწავლ კულტურებს შორის ურთიერთობა და უცხოური ენის ათვისებისათვის მნიშვნელოვანი ამ ელემენტის წილი სასწავლო მასალაში. ჩემი კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენდა გაკვეთილებზე დაკვირვება მასწავლებლების, როგორც შესასწავლი კულტურის/კულტურების მიმწოდებლის მთავარი ფუნქციის მატარებლის კვალიფიციურობა და სახელმძღვანელოში სავარაუდოდ არსებული ნაკლოვანებების მასწავლებლის მიერ სრულყოფა.

კვლევის მეთოდებს რაც შეეხება, მე-9 კლასის სახელმძღვანელოების ანალიზთან ერთად ვაწარმოე გაკვეთილებზე დაკვირვება წინასწარ შემუშავებული საკუთარი დაკვირვების ფურცლებით, რომელთა შემუშავებისას დავეყრდენი ევროსაბჭოს მიერ დადგენილ დაკვირვების ბადეს, ხოლო გაკვეთილებზე დაკვირვებამდე გავაკეთე სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად ინტერკულტურული სწავლების კუთხით.

სკოლების არჩევა მოხდა შერჩევითი მეთოდით. ორი სკოლა შევარჩიე თბილისიდან, ორი კი რაიონიდან, სადაც მასწავლებლების მუშაობა ნაკლებად ეფექტური იყო ვიდრე თბილისში.

მსოფლიო გამოცდილებასა და ჩემს მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები, რომელთა გამოყენებაც სასურველი იქნება როგორც მასწავლებლებისათვის და მასწავლებლებისთვის, ასევე სახელმძღვანელოების ავტორებისათვის.

მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ეკატერინე შავერდაშვილს. ასევე მადლობას ვუხდით გაწეული დახმარებისთვის თბილისის ევროპულ სკოლას და ამავე სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს, ქალბატონ ნინო ფალავანდიშვილს; თბილისის 52-ე საჯარო სკოლას და ამავე სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს, ქალბატონ ნუცა კურცხალიას; შომახეთის საჯარო სკოლას და ამ სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს, ბატონ ბექა ხარშილაძეს; გორის მე-5 საჯარო სკოლას და ამ სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს, ქალბატონ დალი ფანიაშვილს.